ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

„დამოუკიდებელ დირექტორთა გაერთიანებასა“

და

„საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციას“

შორის

თბილისი
2017 წელი

წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) მიიღწევა ქ. თბილისში, 2017 წლის 5 აპრილს.

ერთის მხრივ, „დამოუკიდებელ დირექტორთა გაერთიანება“ (შემდგომში - „გაერთიანება“), რომლის იურიდიული მისამართია: ი. ჭავჭავაძის გამზ. 78, 6/2, თბილისი, საქართველო

და

მეორეს მხრივ, „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია“ (შემდგომში „ასოციაცია“), რომლის იურიდიული მისამართია: მოსაშვილის ქ. 24, თბილისი, საქართველო

სადაც,

„დამოუკიდებელ დირქტორთა გაერთიანებას“ წარმოადგენენ გამგეობის წევრები - ბ-ნი ტარიელ გვალია და ბ-ნი საშა ტერნესი

ხოლო

„საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციას“ წარმოადგენს გამგეობის თავმჯდომარე - ბ-ნი დევი ხეჩინაშვილი,

ამ მემორანდუმის ფარგლებში ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმით მხარეები თანხმდებიან საქართველოში კორპორაციული მართვის საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დასანერგად წარმართონ საკუთარი საქმიანობა ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და ერთმანეთისადმი ხელშეწყობის პრინციპებზე.

2. მემორანდუმის მიზნები

მემორანდუმის მიზნებს წარმოადგენს:

ა) დაინტერესებულ მხარეებთან - რეგულატორები, მთავრობა, პარლამენტი, ბიზნეს წრეები, - თანამშრომლობა საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის სრულყოფისათვის;

ბ) ბიზნეს წრეებთან, მასმედიასთან, პროფესიონალურ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კორპორაციული მართვის საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების შესახებ ცნობადობის ამაღლებისათვის;

გ) ბიზნეს წრეებთან, მასმედიასთან და პროფესიონალურ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კორპორაციული მართვის საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობის შესახებ;

დ) თანამშრომლობა ქართულ კომპანიებში დამოუკიდებელ დირექტორთა ინსტიტუტის დანერგვისათვის;

ე) ქვეყანაში „კორპორაციული მართვის კოდექსის" მისაღებად თანამშრომლობა;

ვ) მემორანდუმის საგნის სხვადასხვა ასპექტზე კონფერენციებისა და სემინარების მოწყობა;

ზ) სტატიების და ინტერვიუების გამოქვეყნება მასმედიის საშუალებებში.

3. პარტნიორთა ურთიერთვალდებულებები

3.1 მხარეებს აქვთ თანაბარი ვალდებულებები მემორანდუმის მიზნების განხორციელებისას.

3.2 მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე.

3.3 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ქმედებები, რომლებიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. ამისათვის, მათ უნდა განახორციელონ შემდეგი მოქმედებები:

ა) გაუზიარონ ერთმანეთს მემორანდუმის საგნის შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია;

ბ) დაიცვან და გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას;

გ) იმოქმედონ კოორდინირებულად.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, მანამ, სანამ მოშლილი არ იქნება ქვემოთ მოყვანილი პირობების შესაბამისად.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადამდე მოშლა

5.1 მემორანდუმის მოქმედება შეიძლება მოშლილ იქნას მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5.2 მემორანდუმის მოქმედება შეიძლება ვადამდე მოიშალოს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, იმ პირობით, თუკი მეორე მხარეს წინასწარ, ერთი თვით ადრე წერილობით შეატყობინებს მემორანდუმის მოქმედების მოშლის შესახებ.

6. ცვლილებები, შესწორებები და დამატებები

წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი სახის ცვლილება, შესწორება ან/და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა მიერ მისი წერილობითი გაფორმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

7. მხარეთა ურთიერთობა

7.1 ამ მემორანდუმის საფუძველზე წარმოებული მხარეთა ურთიერთობა არ ნიშნავს მხარეთა შორის რაიმე სახის ასოციაციის, კავშირის ან/და გაერთიანების შექმნას და მესამე პირებთან ურთიერთობებში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით.

7.2 მხარეები საქმიანობას წარმართავენ პარტნიორობის საფუძველზე, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

8. შეტყობინებები

ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა სახის კომუნიკაცია, რომელიც უნდა იქნეს გადაცემული ან გაკეთებული ამ მემორანდუმის შესასრულებლად, მიზანშეწონილია იყოს წერილობითი სახით. ასეთი შეტყობინება ან სხვა სახის კომუნიკაცია ითვლება სათანადოდ გადაცემულად ან გაკეთებულად, როდესაც ის პირადად ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გადაეცემა იმ მხარეს, რომელსაც ის ესაჭიროება, შემდეგ მისამართებზე:

„დამოუკიდებელ დირექტორთა გაერთიანება“:

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 78, 6/2, თბილისი, საქართველო

ვის: ბ-ნ ტარიელ გვალიასა და ბ-ნ საშა ტერნესს

ტელ: 599 553850 599 972022

ელ.ფოსტა: t.gvalia@id.org.ge s.ternes@id.org.ge

„საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია“:

მისამართი: მოსაშვილის ქ. 24 თბილისი, საქართველო

ვის: ბ-ნ დევი ხეჩინაშვილს

ტელ: 577 41462

ელ.ფოსტა: devi@insurance.org.ge

9. სხვა პირობები

9.1 მემორანდუმი არ შეიცავს სხვა რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას.

9.2 მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ორივე მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

10. დასკვნითი დებულებები

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

გაერთიანება:

„დამოუკიდებელ დირქტორთა გაერთიანება“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 405146239

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 78, 6/2

გამგეობის წევრები:

ტარიელ გვალია

საშა ტერნესი

ასოციაცია

„საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 204878481

მისამართი: თბილისი, მოსაშვილის ქ. 24

გამგეობის თავმჯდომარე:

დევი ხეჩინაშვილი